



## ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) [2021 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება \(მეთხე პალატა\); C-387/19 - RTS infra and Aannemingsbedrijf Norré-Behaegel; ECLI:EU:C:2021:13](#)

*მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:*

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება C-387/19 განმარტავს დირექტივის 2014/24/EU 57(6)-ე მუხლს იმ შემთხვევებისთვის, რომლებშიც შემსყიდველი ორგანიზაცია ეკონომიკურ ოპერატორს ტენდერიდან გარიცხავს. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთ ვითარებაში ეკონომიკურ ოპერატორს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს მტკიცებულება იმ მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მან ჩაატარა სანდოობის აღსადგენად. ამასთან, ეკონომიკურ ოპერატორს არ ეკისრება ვალდებულება წარადგინოს აღნიშნული მტკიცებულება ტენდერში მონაწილეობის განაცხადის ეტაპზე, თუ ეს მოთხოვნა მკაფიოდ, ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად არ არის გაწერილი ეროვნულ კანონმდებლობაში ან შესყიდვის პირობებში.

„26 [...] ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის 2014/24 57(6)-ე მუხლის თანახმად, ტენდერის ნებისმიერ მონაწილეს, რომელსაც, კერძოდ, ეხება ამ დირექტივის 57(4)-ე მუხლში მითითებული (ტენდერიდან) გარიცხვის ერთ-ერთი არასავალდებულო საფუძველი, შეუძლია წარადგინოს მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ მის მიერ მიღებული ზომები საკმარისია მისი სანდოობის დასადასტურებლად; ამასთანავე დაკონკრეტებული უნდა იყოს, რომ თუ ეს მტკიცებულება საკმარისად ჩაითვლება, შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორი არ შეიძლება გამოირიცხოს შესყიდვის პროცედურიდან ამ მიზეზით. ამგვარად, ეს დებულება ნერგავს „თვითგამოსწორების“ მექანიზმს ტენდერის მონაწილეებისთვის იმ უფლების მინიჭებით, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ამ დირექტივის ტრანსპოზიციისას, დირექტივით დადგენილი პირობების დაცვით [...]“

[...]

„28 [...] ამ ვითარებაში, უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის 2014/24 57(6)-ე მუხლის მხოლოდ სიტყვიერი ფორმულირების გათვალისწინებით, ტენდერის მონაწილეების მიერ ჩატარებული მაკორექტირებელი ღონისძიებების მტკიცებულებების წარდგენა შეიძლება მოხდეს როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე შემსყიდველი ორგანიზაციის ინიციატივით, მონაწილეობის შესახებ მოთხოვნის ან სატენდერო წინადადებების წარდგენის დროს ან პროცედურის შემდგომ ეტაპზე.“

„29 [...] ამ ინტერპრეტაციას ამყარებს დირექტივის 2014/24 57(6)-ე მუხლით გათვალისწინებული მიზანი. ითვალისწინებს რა, რომ ეკონომიკურ ოპერატორს უნდა შეეძლოს მიღებული მაკორექტირებელი ღონისძიებების მტკიცებულებათა წარდგენა, ეს დებულება მიზნად ისახავს ეკონომიკური ოპერატორების სანდოობის მნიშვნელობაზე ხაზგასმას და ეკონომიკური ოპერატორების ობიექტური შეფასებისა და ეფექტური კონკურენციის უზრუნველყოფას [...]. ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს, თუ მაკორექტირებელი ღონისძიებების მტკიცებულების წარდგენა ხდება იმ პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, რომლის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკურ ოპერატორს უნდა ჰქონდეს იმ

ღონისძიებების წარდგენისა და შემოწმების შესაძლებლობა, რომლებიც, მისი აზრით, მისცემს მასთან დაკავშირებული ტენდერიდან გარიცხვის საფუძვლის გამოსწორების საშუალებას.“

„30 [...] ამ ინტერპრეტაციას ასევე ამყარებს დირექტივის 2014/24 57(6)-ე მუხლის კონტექსტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ამ დირექტივის 57(7)-ე მუხლის შესაბამისად, ამ მუხლისა და, უფრო მეტიც, ამავე დირექტივის 57(6)-ე მუხლის განხორციელების პირობები უნდა დაზუსტდეს წევრი სახელმწიფოების მიერ, ევროკავშირის კანონმდებლობის გათვალისწინებით. იმ დისკრეციის ფარგლებში, რომელიც ამ უკანასკნელთ აქვთ ამ დირექტივის 57(6)-ე მუხლის პროცედურული პირობების განსაზღვრისას [...] წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ მაკორექტირებელი ღონისძიებების მტკიცებულებები ნებაყოფლობით იყოს წარდგენილი შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორის მიერ მონაწილეობის შესახებ მოთხოვნის ან სატენდერო წინადადებების წარდგენის დროს, ისევე როგორც მათ შეუძლიათ უზრუნველყონ ასეთი მტკიცებულებების წარდგენა მას შემდეგ, რაც ეკონომიკურ ოპერატორს ამის თაობაზე ოფიციალურად მოუწოდებს შემსყიდველი ორგანიზაცია პროცედურის მოგვიანებით ეტაპზე [...]“.

[...]

„35 ამ გარემოებებში, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გამჭვირვალობის პრინციპის შესაბამისად, ხელშეკრულების დადების პროცედურის ყველა პირობა და დეტალური წესი უნდა იყოს შედგენილი მკაფიოდ, ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად ხელშეკრულების შესახებ შეტყობინებაში ან სპეციფიკაციებში, რათა, პირველ რიგში, ყველა სათანადოდ ინფორმირებულ ტენდერის მონაწილეს, რომელიც იჩენს ჩვეულებრივ სიფრთხილეს, შეეძლოს მათი ზუსტი მნიშვნელობის გაგება და მათი ამგვარივე ინტერპრეტაცია [...] მეორე, თანასწორი მოპყრობის პრინციპი მოითხოვს, რომ საჯარო შესყიდვის ხელშეკრულებით დაინტერესებულ ტენდერში მონაწილე პირებს მიეცეთ თანაბარი შესაძლებლობები მათი სატენდერო წინადადებების ფორმულირებისას, იყვნენ ინფორმირებულნი პროცედურის ზუსტი შეზღუდვების შესახებ და ჰქონდეთ ფაქტობრივი გარანტია იმისა, რომ ტენდერის ყველა მონაწილე დაექვემდებარება ერთნაირ პირობებს [...]“.

„36 აქედან გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც წევრი სახელმწიფო ადგენს, რომ მიღებული მაკორექტირებელი ღონისძიებების მტკიცებულება მხოლოდ ნებაყოფლობით შეიძლება წარადგინოს ეკონომიკურმა ოპერატორმა მონაწილეობის შესახებ მოთხოვნების ან სატენდერო წინადადებების წარდგენისას, ხოლო პროცედურის შემდგომ ეტაპზე ამ ოპერატორს არ ექნება ასეთი მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა, გამჭვირვალობისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპები მოითხოვს, რომ, როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა, არსებითად, თავისი მოსაზრების 66-ე და 67-ე პუნქტებში, ეკონომიკური ოპერატორები წინასწარ, მკაფიოდ, ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ასეთი ვალდებულების არსებობის შესახებ, მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაცია პირდაპირ გამომდინარეობს ტენდერის სპეციფიკაციებიდან თუ ამ დოკუმენტებში შესაბამის ეროვნულ წესებზე მითითებიდან.“

[...]

„42 ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, [...] დირექტივის 2014/24 57(6)-ე მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ იგი გამორიცხავს ისეთ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკურ ოპერატორს მოეთხოვება, მონაწილეობის შესახებ მოთხოვნის ან სატენდერო წინადადებების წარდგენის დროს, ნებაყოფლობით წარადგინოს მტკიცებულება მისი სანდოობის დასადასტურებლად ჩატარებული მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ, მიუხედავად ამ ოპერატორთან დაკავშირებით არსებული, დირექტივის 57(4)-ე მუხლში მითითებული ტენდერიდან გარიცხვის საფუძვლისა, როდესაც ასეთი ვალდებულება არ გამომდინარეობს არც მოქმედი ეროვნული წესებიდან

და არც ტენდერის სპეციფიკაციებიდან. მეორე მხრივ, აღნიშნული დირექტივის 57(6)-ე მუხლი არ გამორიცხავს მსგავსი ვალდებულების არსებობას იმ შემთხვევაში, როდესაც ის მკაფიოდ, ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული მოქმედ ეროვნულ წესებში და მოცემულ ეკონომიკურ ოპერატორს მის შესახებ მიეწოდება ინფორმაცია ტენდერის სპეციფიკაციების მეშვეობით.“

*მოკლე მიმოხილვა:*

ამდენად, დირექტივის 2014/24/EU 57(6)-ე მუხლი კრძალავს იმგვარ ეროვნულ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ტენდერში მონაწილე ეკონომიკურ ოპერატორს ავტომატურად ეკისრება ვალდებულება, განაცხადის ეტაპზევე წარადგინოს მტკიცებულება სანდოობის აღდგენის მიზნით განხორციელებული მაკორექტირებელი ღონისძიების შესახებ, როდესაც ასეთი ვალდებულება მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად არ არის გაწერილი ეროვნულ კანონმდებლობაში ან შესყიდვის პირობებში. დირექტივა იცავს ეკონომიკური ოპერატორის უფლებას წარადგინოს აღნიშნული მტკიცებულება საკუთარი ინიციატივით ან შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე ტენდერის დასრულებამდე ნებისმიერ ეტაპზე. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი ემსახურება სამართლიანი პროცედურების უზრუნველყოფას და წევრი სახელმწიფოებისთვის ამკვიდრებს გამჭვირვალობისა და თანასწორობის დაცვის ვალდებულებას საჯარო შესყიდვების პროცესში.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების XVI-B XVI-C XVI-H დანართები
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 2004/18/EC“
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2014/24/EU 57(6)-ე მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლი (სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.020812; 02/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)
საკვანძო ტერმინი	კანდიდატის/პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია
CJEU-ს სამართალი პრეცედენტული	<a href="#">2021 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება (მეოთხე პალატა): C-387/19 - RTS infra and Aannemingsbedrijf Norré-Behaegel; ECLI:EU:C:2021:13</a>

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.